საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-203

2023 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებთ დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს თანდართული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები:

ა) ემბლემა;

ბ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკის ნიმუში;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუში.

2. სააგენტოს ემბლემა წარმოადგენს მეწამული (წითელი)არშიით შემოსაზღვრულ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის (თეთრ) ველზე ლაჟვარდით (ლურჯი) გამოსახულია და გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ასოცირებული სტილიზებული სიმბოლო.

მუხლი 2

1. ემბლემის გამოყენება (აღმართვა, გამოფენა, გამოსახვა) ხდება სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში და მიზნებისათვის.

2. ემბლემა შეიძლება გამოისახოს:

ა) სააგენტოს ვებგვერდზე, საინფორმაციო ბანერებზე, აბრებზე;

ბ) სააგენტოს თანამშრომლის სამსახურებრივ მოწმობაზე;

გ) სააგენტოს სარგებლობაში არსებულ ავტომობილზე;

დ) სააგენტოს ბეჭდვით გამოცემებზე, ვიდეო-და ფოტომასალებზე;

ე) სარეკლამო-საინფორმაციო, სუვენირულ პროდუქციაზე და სამსახურებრივ ინვენტარზე.

3. სააგენტოს ემბლემა შეიძლება განთავსდეს სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზსა და ოფიციალურ გამოსვლათა სხვადასხვა ტრიბუნაზე.

4. სხვა საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს ემბლემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები შესაძლებელია დაზუსტდეს სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. სააგენტომ ემბლემის გამოყენებისას იხელმძღვანელოს „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის №282 დადგენილებით.

6. სააგენტომ უზრუნველყოფს „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების გატარება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**

სსიპ გარემოს
ეროვნული სააგენტო

LEPL NATIONAL
ENVIRONMENTAL AGENCY

LEPL NATIONAL ENVIRONMENT AGENCY

150 Davit Aghmashenebeli Ave.,
0112 Tbilisi, Georgia
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

04 November, 2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

04 ნოემბერი, 2022

LEPL NATIONAL ENVIRONMENT AGENCY

04 November, 2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 ნოემბერი, 2022